KA021721488686022

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-2327 26 / აპრილი / 2022 წ.

ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 8911.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 56134.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობების და №7-№9 (დანგრეული) შენობა-ნაგებობების, ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 2740.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 8997.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 268.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანებით დატკიცებული წესისა და „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 8911.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 04.01.07.830), ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 56134.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობების და №7-№9 (დანგრეული) შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი № 04.01.07.946), ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 2740.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 04.01.07.948), ქალაქ ფოთში, ახალი

პორტის მიმდებარედ არსებული 8997.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 04.01.07.924) და ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 268.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 04.01.07.810) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყის საპრივატიზებო თანხად განისაზღვროს 10 000 000 ლარი.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 1 000 000 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5 000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ფოთში, ბარათაშვილის ქუჩაზე, ყოფილი ციტრუსების მეურნეობაში მდებარე 8000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N04.02.12.917) ან მის ნაწილზე, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, მრავალბინიანი შენობა-ნაგებობ(ებ)ის (რომელიც უნდა მოიცავდეს ჯამური ფართობით არანაკლებ 6 934 კვ.მ., არანაკლებ 100 (ასი) ერთეულ საცხოვრებელ ბინას (მათ შორის: 1 (ერთი) ოთახიანი არანაკლებ 21 (ოცდაერთი) ერთეული ბინა (არანაკლებ 48 კვ.მ.); 2 (ორი) ოთახიანი არანაკლებ 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) ერთეული ბინა (არანაკლებ 70 კვ.მ.); 3 (სამი) ოთახიანი არანაკლებ 22 (ოცდაორი) ერთეული ბინა (არანაკლებ 88 კვ.მ.), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ ბრძანების დანართი 2-ით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ აშენება და შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფა;

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის უსასყიდლოდ მომზადება, ამავე დოკუმენტაციის მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ორგანოსთან შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება;

დ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, არანაკლებ 20 (ოცი) საქართველოს მოქალაქის დასაქმება ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებამდე.

4. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

5. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

6. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე